№ 187. 7 სეკტემბერი, სამშაბათი. 1866—1882 7 სეკტემბერი, სამშაბათი. № 187.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-[ში] კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-[თაისში] ჭილაძის (ძმების) წიგნის მაღაზიაში. გარეშე [მცხოვრებთათვის] ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-[ці]ю „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
[ერთის] წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
[ექვსის] თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [...] ასოზე ნახევარი კაპ., [...] 8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და შემდეგ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

**„დროება“**

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. [მუხ]რანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„სჩრდილო-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

[პ]ეტერბურღი, 4 ენკენისთვეს. „მმარ[თე]ბლობის მოამბეში“ სწერია: იმპე[რა]ტრიცას დაწესებულებათა საქმეები [მინისტრი]სა, გიუნე დათხოვნილია სამსახუ[რი]დამ. ამის ადგილი დაიჭირა შინა[ურ საქმეთა] მინისტრის თანაშემწემ მარკოვ[მა].

[...] წინადადება კასპიის ზღვის ნაპი[რ]ებ[ი]ს სპარსეთის სამზღვრიდამ მან[გი]შლაკამდე კერძო კამპანიებს ჩაბარ[ე]ს.

[კ]აირო, 4 ენკენისთვეს. ქედივი მი[ვიდ]ა ქაიროში. სამართალი არაბიზედ [და] მის მომხრეებზედ წარმოებს.

## [ქუ]თაისის სასულიერო სასწავლებელი

[ქ]უთაისის სასულიერო სასწავლე[ბე]ლმა დაიმუხლისთავა ერთხელვე და [...]ქეთ უკან მიდის საქმე, თორემ [...] წასვლა და ცოტათი მაინც გაუ[მჯ]ობესობა მას აღარ ეღირსა. მო[...]ნ რევიზორები თუ ტფილისის სე-მენარიიდან, თუ უწმინდესის სინოდის გამოგზავნილი, მაგრამ მათ რევიზიას ისეთი ნაყოფი არ მოაქვს ჩვენის სასწავლებლისათვის, როგორიც მოსალოდნელია. ჩამოვა რევიზორი, გადახედავს სამდივნო და საკლასო დავთრებს, მოსწავლეების სიას, ჩამოილაპარაკებს ზედამხედველთან, ნახავს ყოვლად სამღვდელოს და გაუდგება გზას. გადის ერთი წელი, გადის მეორე; მოველით რამე ცვლილებას სასწავლებელში, არ შეგვჭამოს მიწამ: ერთი იოტის ოდენიც არა იცვლება-რა.

სასწავლებელი კი ისევ იმავე სენითაა შეპყრობილი, როგორითაც მათ მოსვლამდის იყო, მასწავლებლებსა და ზედამხედველს შორის გულ-ძვირობა, ინსპექტორის ცემა-ტყეპა, ზედამხედველის თავში ჩაჩქუნი მოსწავლეებისაგან ისევ ჩვეულებრივი მოვლენაა სასწავლებელში. საკვირველია, ღმერთმან იცის, რატომ ვერ მოსძებნეს ამდენმა რევიზორებმა, რომელნიც პედაგოგობენ, ამ სენისა უებარი წამალი!.. რატომ ვერ მოსპეს ამ გვარი პედაგოგიის დამამცირებელი და სასულიერო ახალ-გაზდობის გამრყვნელი სატკივარი? ვის გაუგონია, რომ მოალერსე და გულ-თბილ ძიძას გაზდილი თავში სცემდა? ქაცობრიობის ისტორიაში ვინ გვაჩვენებს ისეთს მაგალითს, რომ არა თუ ქორფა და ნორჩმა ბუნების მქონემ ყმაწვილმა, არამედ გონება გარყვნილმა კაცმა არ იგრძნოს კარგი და ცუდი, შესაფერი სიმპატია და ანტიპატია: მაინც არ გამოიჩინოს მადლიანი! აკი წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ ცხოველსაც მოიხვევს კაცი. ძროხას ის უყვარს, ვინც მარილს მოალოკინებს; კატა იმას ელერსება, ვინც იმას ხშირად ეთამაშება და საცუცქნს მიუგდებს; ძაღლი მისი ერთგულია, ვინც მას ასაზრდოებს და ჰპატრონობს... ზემოხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები კი ლევოლვერებით დასდევენ თავიანთ მასწავლებლებს. ნუ თუ ცხოველებზე ნაკლები მადლობის გრძნობა აქვთ მოსწავლეებს?

ათას ნაირი კითხვები გიტრიალებენ კაცს თავში, როდესაც ზემო-აღწერილი სურათი წარმოგიდგება თვალ-წინ რა მიზეზი უნდა იყოს, მეთქი, ამ მოვლენის? მოსწავლეებია დამნაშავე, სულიერი საზრდო, რომლითაც იკვებებიან მოსწავლეები, თუ მასწავლებლები (ყველაზე არ ვამბობთ)? ამ სამ-ფა კითხვის პასუხად ყველაზე უფრო მართალი უნდა იყოს, რომ დამნაშავე მასწავლებლები არიან და იმდენად მასწავლებლები არა რამდენადაც მათი ზედამხედველი, რომელსაც ყველაზე უფრო მოეთხოვება პასუხი სასწავლებლის საქმეში და რომელიც სამ ყურდღელს გამოჰკიდებია და ერთსაც ვერ იჭერს. მამაცხონებულს ეკონომიაც ხელში ჩ[ა]უგდია, კანცელარიის საქმესაც თვითონ ჰკიდებ', ხელს და სასწავლო ნაწილი, რომელზედაც არის დამოკიდებული სასწავლებლის ბედ-იღბალი, მინდორში გაუშვია.

აი ამ ზედამხედველს, ვინ იცის რა უფლების და მოსაზრების ძალით, ამ სასწავლო წლის დასაწყისში განუზრახავს სასწავლებლის გაწმენდა. სდომებია, რომ მის სასწავლებელში ყველა ერთი ჭკუა-გონების ყოფილიყვენ; მოუნახავს რაღაც ერთი ძველი კანონი, რომელიც დიდი ხანია ხმარებაში აღარ ყოფილა, შობამდის უფიქრია და საშობოთ დაუდგენია ესრეთი მკაცრი განჩინება ზოგიერთა უხმო-უტყვის პირების თანხმობით: ვისაც სისუსტე ეტყობა, დღეიდამ ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამ წლის დამლევს სასწავლებლიდგან გამოირიცხონო. ამ განჩინების შემდეგ სუსტი ყმაწვილების გულ-სახეთქად მთელის წლის განმავლობაში უსმენ მათ ცუდს ბალებს და წლის ბოლოს ზედამხედველი ეუბნება მათგანვე დასუსტებულს ყმაწვილებს: „რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, მასწავლებლებლებმა ესე დაგისვეს ბალლები და მე შუაში ვარო! ეხლა წადით და ირიკვეთ სოფელშიო; ან არა და ასე: მოზრდილი ხარ, პრიჩეტნიკად წადი, ბიძაშენს პავლესთანო, შენ სენაკის სასულიერო სასწავლებელში წადი, იქ უფრო ისწავლი, რადგანაც იქ უფრო ნაკლებად ასწავლიანო. შენ ვაჰრად

---

[„დრ]ოების“ ფელეტონი, 7 სექტემბ.

### არაბი-ფაშა

[და]მარცხდა არაბი-ფაშა,
[...]ედური და მზე-ბნელი!...
[ვინ იცის]ავ, ვის ეურჩებოდა,
[თ]ავისუფლების მძებნელი?

—

[...] სიმართლე რომ ჰქონდა,
[...]თვის ყვიროდა „ალლასა“?
[...]და ცამდინაც სტყუოდეს
[...] გაამტყუნებს ძალასა?

—

[...]ობრიობის სინიდისს
[...], რა მოუმატია?
[...]ინდელ ბარბაროსობას
[...] ჰქვია დიპლომატია!....

—

[...] ვაჭ-კაცურად კაცსა ჰკლავ
[...] ხარ ჩინგის—ყაენი—
[...] ქვეყნის გმირი—თუ მოძმეს
[...]ატოპ, როგორც პაენი.

—

უსამართლობა წინ მიდის
ქანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა
სხვა-და-სხვა კონგრესებითა.

—

რჯულის ფიცარი გაფხიკეს—
ზედ მცნება აღარ სწერია;
და ისტორია ჩვენს დროში
მეჭორე დედა-ბერია!

—

ძალაა ქვეყნის დიდება!
ჭეშმარიტება არს ძალა!
წესები ისევ ძველია,
მხოლოდ გზა გამოიცვალა.

—

ეს არ სცოდნია არაბსა—
იმ საბრალოს და მზე—ბნელსა!...
სხვისი იმედი რას არგებს
თავისუფლების მძებნელსა?

1882 წ. ჯგავი.

---

### მარკიზ

ჟულ კლარეტის მოთხრობა

ეს მოხდა, რესპუბლიკის დაარსებიდამ, მეორე წელში.

ციფი დღე იდგა; მზე არა სჩნდა; მძაფრი ქარი ძვლებამდის ატანდა; ნისლიანი ჰაერის გამო სუნთქვა სჭირდა. გამვლელები ყოველ წამში სჩერდებოდნენ, რომ წალები განეთავისუფლებინათ მიწიდამ აყოლილ გაგლესილ ტალახისაგან. უველანი რაღაც ცუდს გუნებაზედ იყვნენ: ერთ მომღიმარე სახეს ვერ დაინახავდით ყველას რაღაც მქენჯნი მწუხარებისა და ფიქრის ბეჭედი აზის თ...

აი ამ დღეს უნდა წაეყვანათ სალრჩობელაზედ ბრალდებულნი, ამ დღეს უნდა გამოთხოვებოდნენ ესენი ქვეყნიერებას, ზეცას...

ტენვილის ბრძანებით პიერ რემორე, უფროსი ჯალათის სენსონის თანაშემწე, გამოვიდა თავის სადგომიდამ, რომელშიაც იდგა სახლის პატრონთან ერთად, იოანნე ნათლისმცემლის ქუჩაზედ, № მე-11, და დაუპირდაპირდა კონსერჟერის სატუსაღოს.

ტენვილს გაუწყნარებელი მოლაპარაკება ჰქონდა ხან ერთთან და ხან მეორესთან, დაუბოლოებელს კარიდორში სატუსაღოისა, განკარგულებას აძლევდა, თუ რამდენი ეკიპაჟია დამზადებული ბრალდებულთათვის და რომელ საათზედაა წამება დანიშნული.

მუდამ დღეობით ხდებოდა ხოლმე ამ გვარი მოლაპარაკება.

რესპუბლიკის დაარსებას მეორე წელს საწამებელ ადგილად არჩეული იყო რევოლიუციის მოედანი; შემდეგში სალრჩობელა ბარიერ-რანვენში გარდაიტანეს. უზარ-მაზარ, შემაძრწუნებელ შეხედულების ჰკის-კარებიდამ გამოიყვანდნენ ხოლმე ბრალდებულთ; აუარებელი ხალხი კიჟინით

წადი, ფულების მოგება ისწავლეო და რომ გამიჭირდეს მასესხეო“. რითი განირჩევი, ჩვენო მამულიშვილო, ახალ-გაზდა პედაგოგო, იმ ფულისათვის მოთრეული პედაგოგებისაგან, რომელნიც გაკვეთილების დროს ეუბნებიან მოსწავლეებს: „რა თქვენი საქმეა სწავლა, წადით სამეგრელოში მეხაშეს დუქანი გაალეთ, ან და продовайте мачари“-ო? საკვირველად ის უფრო მიგვაჩნია, თუ მოსწავლეების გამორიცხვაზე ყოვლად სამღვდელო დათანხმდა?! ან და როგორ დაყაბულდენ ამ განჩინებას ზოგიერთი მასწავლებლები, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ პირადად და ამას. . . . . . . მათგან არასოდეს არ მოველით!

დღეს ამ განკარგულების ძალით სასულიერო სასწავლებლიდგან დაითხოვება ოცი-ოცდა-ხუთი ყმაწვილი და ამითი ეს სასწავლებელი აჩუქებს ჩვენ საზოგადოებას უვარგისს, ხასიათ დაცემულს წევრებს... ეხლა მივსცეთ კითხვები ბ. ზედამხედველს: 1) რა საშუალება იხმარა მან სუსტი ყმაწვილების გასასწორებლად? ჰქონდა მათზე განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული თუ არა, და, თუ ჰქონდა, როგორი: ნამდვილი პედაგოგიური, თუ ისეთივე, როგორსაც ეხლა ხმარობს სასწავლებლის გასაწმენდად? 2) დაიდოს გულზე ხელი და სთქვას: „შეგირდებია დამნაშავე თავიანთ სისუსტეში, თუ თვითონ ის დაუდევნელობა და უწესოება, რომელიც დიდი ხანია ჰსუფევს სასწავლებელში და სასწავლებელს გარეთ, სადაც ისინი ყოველის მხრით შევიწროებულნი არიან? 3) შეიძლება, რომ მოსწავლეები ურევოლვეროდ და უკეტოდ დადიოდნენ იქ, სადაც მასწავლებლები (ყველა არა) შეიარაღებული არიან და თვით ზედამხედველი კარის დირეზე არ გამოადგამს ფეხს ისე, რომ რამდენიმეჯერ რევოლვერი არ გაისროლოს, ვითომ რაოდა ილოდეთ რევოლვერი მკიდიაო. 4) ვსთქვათ მოსწავლეებმა წაბაძეს (მეტი გზაც არა აქვთ) მასწავლებლებს მეცადინეობაში, შრომაში, ერთმანეთთან მოქცევაში, საქვეყნო და თვალ-საჩინო საქციელში (იმაზე არას ვიტყვით, რომელსაც მოსწავლეები თვალს ვერ შეასწრებენ), რას იტყვი ბ. ზედამხედველო, კარგი ზნის და ჩვეულების უნდა იყვნენ მოსწავლეები? არ მიიჩვევიან ისინი სიზარმაცეს, სიმთვრალეს, გინებას, ანგარებას, კაცის კვლას და რევოლვერებით და კეტებით თრევას თქვენ კარებზე? საუბედუროდ „დიახ, დიახ,“ უნდა გვიპასუხო, მეტი გასანძრევი გზა არა გვაქვს.

მართალია, რუსეთის სასწავლებლები ყოველთვის მოკლებული იყო სუსტი ყმაწვილების გასასწორებელს რიგიან საშუალებაებს და არც თავს იტეხდნენ ამისათვის: მაგრამ ეს მაინც კარგი კანონი იყო, რომ სუსტს ყმაწვილს ორ-ორ წელიწადს სტოვებდნენ კლასებში და ერთჯერ და ორჯერ თუ მოუვიდოდა მოსწავლეს ერთსა და იმავე კლასში დარჩენა, მესამედ და მეოთხედ დასძლევდა დამაბრკოლებელ მიზეზებს და აღარ დაიღუპებოდა სამუდამოდ. თქვენ კი ბ-ნო ზედამხედველოს გსურსთ ამოდენა მღვდლის შვილს ერთს დღეს გადაუწყვიტოთ ბედი, მისთვის, რომ მომავალ წლებში თავისუფლად იაროთ შენ და შენ თანამოაზრეთა და ასწავლოთ მხოლოდ იმ ყმაწვილებს, რომელნიც მგონია, უთქვენოთაც ისწავლიან. თქვენ ამორჩეულ საშუალებას არ აჯობებდა განა თუნდ ამისთანა: მოვაგროვებდი იმ სუსტ ყმაწვილებს, შევატყობინებდი მათ დედ-მამას და ნათესავებს, ურჩევდით, რომ რამოდენიმე მანეთი გამოეღოთ და თქვენი მასწავლებლები (მთელ კანიკულებზე აქ სცხოვრობენ) დიდის სიამოვნებით ისწავლიდნენ სუსტ ყმაწვილებს ამ სამ თვეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საშუალებით მასწავლებლებსაც სარგებლობა ექნებოდათ, მოსწავლეებიც ცოტა რამეს შეიძენდნენდა მშობლებიც მადლიერი დარჩებოდნენ. ბევრი სხვა საშუალებაც მოხერხდებოდა; ახლა ამას მეტს არაფერს ვიტყვით და შემდეგში კი ჩვენ დაუმტკიცებთ ზემოხსენებულს თავისებურ პედაგოგებს, რომ სუსტი ყმაწვილების გასწორება შესაძლებელია და იმავ გასწორებისათვის მუშაობა ღირს რამედ მისთვის, ვინც ვაჭრულის თვალით არ უყურებს ამ წმიდა მოვალეობას და ვისაც ქრისტეს იგავი კეთილ მწყემსზე და დაკარგულს ცხვარზე მარტო ზეპირად კი არ დაუსწავლია, დედის ძუძუსავით შერგებია და სისხლად და ხორცად გარდაქცევია...

### დღიური

მრავალი დედ-მამა მოატყუა ამ ჟამად თავისის ბალღებით სასწავლებლებს. მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებიდამ ქალაქში ჩამოვიდნენ ასის და ორასის ვერსტის სიშორიდამ იმ იმედით, რომ შვილებს სადმე სასწავლებელში დავაბინავებთო, მაგრამ იმედმა უმტყუნა... ნახევარი რიცხვი ყმაწვილებისა, ვგონებთ, არც-კი იყვნენ მიღებულნი. მაგალითად, ამბობენ— თავად-აზნაურობის სკოლაში 170 თხოვნა იყო და ამათგან 70 ყმაწვილი არის მიღებული. პირველ კლასსიკურ გიმნაზიაში 180 მსურველებისაგან 80 მიუღიათ. არ ვიცით სამხედრო სასწავლებელში, მეორე კლასსიკურ გიმნაზიაში, რეალურს სასწავლებელში, სასულიეროში და სხვებში რამდენი არიან მიღებულნი. გაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ათასამდე მსურველი ყმაწვილი რჩება მუდამ წელს ენკენისთვეში მარტო ტფილისში. იანგარიშეთ სხვა ჩვენი მხრის სხვა-და-სხვა ქალაქებს და სოფლების სკოლებში მიუღებელი რამდენი ათასი უნდა იყოს. ჩვენ-კი გვეუბნებიან უსწავლელობით იღუპებითო. რა ვუყოთ ყმაწვილებს, რა ვუყოთ?

* * *

მთებიდამ, არაგვისა, ქსნის და თერგის ნაპირებიდამ, ფშავ-ხევსურეთიდამ მეტად ცუდი ამბები გვესმის მოსავალზე. ზაფხულის გვალვას მოუხმია როგორც ქერი და შვრია, აგრეთვე ბალახიცა. ასე რომ წელს მთაში უეჭველად ადამიანის და პირუტყვის სიმშილს უნდა მოველოდეთ. შარშანაც ფშავ-ხევსურეთში მოსავალი ძალიან ნაკლებად იყო და ხალხს რომ მთავრობა არ შესწეოდა, დიდს გაჭირებას გამოივლიდნენ. წელს იმაზე მომატებული მოუსავლობაა ზემოხსენებულ ადგილებში დუშეთის და თიანეთის უეზდებისა. წელსაც გუბერნიის მთავრობამ თუ არ იზრუნა და ისე არ შეეწია როგორც ფშავ-ხევსურეთსა, ხალხი დიდს განწირულებაში ჩავარდება სიმშილისაგან და პირუტყვის ხოცვისაგან.

* * *

ოთხიდგან მეხუთე რიცხვს, შუაღამის პირველის ნახევარზე ანჩისხატის უბანში, ქვირაცხოვლის ქუჩაში თავი მოიკლა რევოლვერით ერთმა მოქალაქე ყმაწვილმა კაცმა, გრიგოლ ჯანაზიზოვმა, 21 წლისამ. მიზეზი თავის მოკვლისა არ იციან.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ზ. ჭიჭინაძეს განუძრახავს ქართულს ენაზე ლექსების დრო-გამოშვებითი კრებულის გამოცემა, რომელსაც სახელად „სალამური“ ეწოდებაო. პირველი წიგნი უკვე შეუდგენია, ამ ჟამად იბეჭდება და ამ მოკლეს ხანში გამოვაო. წელიწადში სულ ოთხი ან ხუთ წიგნი დაიბეჭდებაო.

---

ხვდებოდა მათ. ზოგნი ერთს გადახედავდნენ ბრალდებულთ და ჩაივლიდნენ, ზოგნი თვით სალრჩობელამდე ჩააცილებდნენ. ნაშუადღევის 4-ს საათზედ ხდებოდა ხოლმე ესა.

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში, სწორედ ამ საათს მცირედ ჩამობნელდა, მაგრამ ადამიანი კიდევ გაარჩევდა სახეთ მწარე დუმილით მიმავალ რაზმისა, რომელიც ეს არის გამოვიდა სატუსაღოს კარებიდამ და დაუყვა სალრჩობელასაკენ მიმავალ ქუჩას. ამ ხნობით სალრჩობელაზედ მიგორავდა მხოლოდ ერთი ეკიპაჟი, რომელშიაც ისხდნენ რვა დამნაშავე: ორი ნემეცი, რომელთაც ჯაშუშობა დაჰბრალდათ, ერთი გვარდიელი, სამი კაროლის სახლის კაცნი, ერთი სალდათი და მარკიზი.

სალდათი მიდიოდა ამაყურის და მედიდურის შეხედულებით ხორცშესხმულის რესპუბლიკელისა... იგი ლოარშიაც იყო და რეინზედაც—შუბით და ხრმლით მოიპოვა მან გამარჯვების ნიშნები. ლომისებრ იბრძოდა იგი ვანდეიაში ვესტერმანთან ერთად. რაღაც იჭვი აიღეს ამაზედ და მას მიჰყავდა იგი სალრჩობელაზედ.—ვინ იცის იქნება უბრალო შეცდომაც იყო?! ნელად მიდიოდა პროცესია და გრძნობით მღეროდა სალდათი „მარსელიეზას“.

კაროლის სახლის კ ცთაგან ერთი მაღალის ხმით სტიროდა და დანარჩენი მხურვალედ ლოცვილობდნენ.

მარკიზი კარგა ხანში შესული კაცი იყო... მის გვარში იგი იყო უკანასკნელი ჩამომავალი: კონდეს ჯარში მოჰკლეს მისი შვილი.

ურმა კუბოში იწვა—ეხლა მამაც მიესწრაფებოდა მასთან შეერთებას. უსახელოდ სიკვდილი არც მამასა ჰსურდა; შესანიშნავად, სავსე გამბედაობით იბრძოდა იგი 10-ს მარიამობისთვეს და დაატყვევეს მაშინ, როდესაც შიშველის ხრმლით ხელში, სჭრიდა მტრის რაზმს.

რევოლიუციურ სასამართლოს წინაშე მან უარ-ჰყო ყოველგვარ ჩვენების მიცემაზედ. იგი ეკუთვნოდა იმ ადამიანთ, რომლებზედაც ოცი წლის შემდეგ ამბობდნენ: „მათ ვერცა-რა შეისწავლეს და არცა-რა დაივიწყეს“. მას სწყუროდა სახელოვანი სიკვდილი და პატიების თხოვნა ფიქრადაც არ გავლებია,—ეშინოდა კიდეც, რომ, რითიმეც არის, ხასიათის სისუსტე არ გამოეჩინა.

წარსული მდიდარი იყო ამ გვარის ღირსების პირებითა.

მარკიზი ხარობდა, რომ, როგორც იქნა მოესწრო დრო, გაეთავებინა ანგარიში მის მტანჯველ სიცოცხლესთან.

ნისლოვან ჰაერში გაეპყრა მარკიზს ფართოდ გაღებული თვალები. ცარიელა პერანგში იჯდა იგი ვულ მოღიებული. ხელები მაგრა ჰქონდა უკანით შებოჭილი. სუსხი სიცივე სცემდა მარკიზის გულს და თეთრი ფერი ტანისა გალურჯდებოდა;—მაგრამ მარკიზი თითქო ვერ ამჩნევდა ამას, ვერ ამჩნევდა, როგორ აწკარუნებდა მისი კბილები და თრთოდა მთელის ტანით, არ იცოდა, რომ მის ტუჩებს და მთელს სახეს საზოგადოდ მომაკვდავის ფერი გადაჰკროდა. მარკიზს ეს არ ახსოვდა. სხეული მისი იტანჯებოდა ესე რიგად და ფიქრებთ კი წარიტაცეს მისი გონება შორს, შორს... მას ეხატებოდა მომავალი სიხარულისა და ბრწყინვალე სხივებით ალსავსე.

საოცარ კაქინამ მოგროვილის ხალხისა, გამოაფხიზლა მარკიზი; მან იგრძნო თითქო ვიღასიც საზიზღარი ხელი შეეხო მის სახეს.

— მხთალოობს! შეხედეთ, როგორ ეშინიან.—გაჰკიოდა ხალხი და მარკიზს ესმოდა ეს.

„ეს ვის იხსენებენ ესე ავად, ვის ჰკიცხვენ“?! გაიფიქრა მარკიზმა.

— სალრჩობელიზედ ეგ მხთალი!..

— ჩამოლრჩობა მშიშარას!..

მარკიზი მიხვდა...

თითქო სიცოცხლის ნიშანი ეხლავე დაჰკარგვიათო, ისე დადუმებულნი, უგრძნობელად ეყარნენ ბრალდებულნი ეკიპაჟში. სალდათი ისევ ისე მშვიდობიანად გამოიყურებოდა—მარკიზი თრთოდა, კბილს კბილზედ ვერ აკარებდა...

ხალხი ხედავდა ამას და იმიტომაც გაიძახოდა:

„სალამურში“ დაიბეჭდებიან აგრეთვე სახალხო ლექსებიც.

ფასი თითო გამოცემისა იქნება ერთი აბაზი, ან და ექვსი შაური.

ჩვენის გაზეთის საშუალებით ბ. ზ. ჭიჭინაძე სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც-კი მოეძებნებათ სახალხო, ანუ საკუთარი ლექსები, მიაწოდონ მას და ამით შემწეობა მისცენ ამ საქმის წარმატებით წაყვანაში.

* * *

ჩვენ მოგვივიდა თელავიდამ შემზარავი საზარელი ამბავი. თელავის მახლობლად სცხოვრებს ერთი თ-დი ქ. [illegible]ვი. ერთ ღამეს, რაღაც საშინელმა ხრიტინმა გამოაღვიძა ეს კაცი. საჩქაროდ აანთო სანთელი და ნახა, რომ მის გვერდით მწოლარე ცოლი თავის სისხლის მორევში ცურავდა. ორი ტყვია (კარტეჩი) ჰქონდა თავში მოხვედრილი და საბრალო ქალი უსულოდ მდებარე იყო.

რადგანაც სხვაზედ ვერავიზედ შემოიღეს ეჭვი, რომ გვერდში მწოლარე ცოლი მოეკლათ ისე დამბაჩით, რომ იგი ქმარს ვერ შეეტყო, (ქმარი ამბობს, რომ დამბაჩის ხმა არ გამიგონია) ამისათვის ჯერ-ჯერობით ადგილობრივმა მთავრობამ დაიჭირა ქმარიო. ეს კაცი მაინც-და-მაინც არ არის კეთილ-საიმედო პირიო. იმავე ბატონმა დასჭრა სარწყავი წყლის გულისათვის ერთი გლეხი, რის გამოდაც დამახინჯებული შეიქნა საწყალი გლეხი და მის ღარიბ ოჯახობას მოაკლდა [illegible]ვრად ეს მუშა კაციო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ხონის ფოჩტის ზედამხედველისაგან, ბ. ა. მებურიშვილისაგან გრძელი ეპისტოლე, რომელშიაც ის სცდილობს გაიმართლოს თავის თავი იმ ბრალდებულებაში, რომელზედაც იწერებოდა ჩვენი ხონელი კორრესპონდენტი. საუბედუროდ, ბ. მებურიშვილი არაფერს საფუძვლიანს არ იწერება თავის წერილში: „ნუ თუ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ჭკუიანმა და არა უსახელო ავტორის (აქ გინებაა), რომ შესაძლო იქმნეს ჩემის მხრით ყოველი წერილის წაკითხვა, რომლისაც წერილები ხუთასობით არიან ზოგჯერო“, ამბობს ის სხვათა შორის. მაგრამ, რადგანაც შესაძლებელია, რომ „კაცმა ჭკუიანმა ადვილად წარმოიდგინოს ამ წერილების გროვიდამ ზოგიერთი „საჭირო“ წერილების გახსნა და წაკითხვა,— ხონის ფოჩტის ზედამხედველის მჭევრმეტყველობა ქარწყლდება თავის-თავად. მიუხედველად ამისა ბ. მებურიშვილი თავის ერთ-ადლიან წერილში უხვად უგზავნის ლანძღვა-გინებას როგორც ჩვენ კორრესპონდენტს, ისე ყველა ხონელებს, საზოგადოდ. ამ უკანასკნელებს „ვერ უცვნიათ“ თურმე ბ. მებურიშვილი და ჩვენ კორრესპონდენტს კი უძღვნის ათას ნაირ გინებას, რომლის სიუხვე კარგად ამტკიცებს თვით ბ. მებურიშვილის ვანაობას. რაც შეეხება ბ. მებურიშვილის ჭკუა განათლებას, ამის დამტკიცებიებიცაა მის წერილში. მან იცის, რომ სამღვთო წერილში სწერია თურმე, რომ „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი—დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს—ამაღლდესო. ამის გარდა ბ. ზედამხედველმა იცის, რომ ერთმა ბერძენმა ჰეროსტრატმა, რომელსაც ის „ჰეროსატრატს“ ეძახის,—დაეწვა ძველად ტაძარი, რომ ის, ბატ. ზედამხედველი „დიდი ნამსახური კაცია სხვა-და-სხვა გუბერნიებში, რომ მას აღმატებული ადგილიც სჭერია და თავის ხასიათით ყოფილა კაცურად და სხვა-და-სხვა.“ ამ ნაირად ბ. ხონის ფოჩტის ზედამხედველმა, თუმცა ვერ გაიმართლა თავი იმ ცუდ საქმეში, რომელსაც მას აწამებენ, მაგიერად ბევრი რამ სასაცილო გვაცნობა თავის თავზე, რომლისთვისაც მადლობას ვუძღვნით ჩვენის მხრით.

* * *

დაბა ყვირილიდამ გვწერენ: „სათმენად და სამწუხაროდ წლევანდელი მოუსავლობაც გვეყოფოდა, რომ ამ ავაზაკებისაგან ცხოვრება არ გვქონდეს გაჭირებული — გაჭირებაზე—გაჭირება არ გვერთობოდეს. ჩვენ მაზრაში ჰბუდობენ ორი ავაზაკი ციმბირიდამ გამოპარულნი. მთელს მაზრას მოსვენება არა აქვს ამათგან. ჩვენი საქები პოლიციაც თავს არ იტკენს, ისხნას ამათ ხელიდამ მცხოვრებლები. ბატ. ქუთაისის გუბერნატორისაგან არა ერთი განკარგულება გამოსულა ამათ დატუსაღებაზედ, მაგრამ ამაოდ რჩება ყოველივე. თვით ჩვენი ხევის-თავები, მცხოვრებთაგან ამორჩეულნი მშვიდობიანობის დასამყარებლად და ქურდობის მოსასპობლად, ამსონობენ აქ ავაზაკებს და არხეინად ქეიფობენ მათთან ერთად.

* * *

ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან მივიღეთ ჩვენ დასაბეჭდად შემდეგი შენიშვნა:

„ამ რამდენიმე ხნის წინად მე შევაგროვე კათოლიკოზის ნიკ. ორბელიანის ნაწერები და მსურდა მათი გამოცემა. მაშინ სხვა-და-სხვა გარემოების გამო ვერ მოვახერხე მათი გამოცემა და დღეს, სამწუხაროდ, მე დავკარგე ის ნაწერები, რომელნიც ცენზორისაგან უკვე ნება დართული იყო დასაბეჭდად. ამ ნაწერებში იყო: იამბიკო, საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამულის შვილების შესახებ-ქებით; სიტყვანი, წარმოთქმული ზოგ ისტორიულ პირებზედ; ლექსები ათ მარცვლოვანი და თორმეტიანიცა და შესხმანი ზოგიერთა მეფეთა და კათოლიკოზთა.-ეხლა მე ვსთხოვ ჩვენის მწერლობის მოყვარეთა, რომ, თუ ვისმეს მოეძებნება რაიმე ნაწერი ნიკოლოზ კათოლიკოზისა, მომაწოდონ, რადგან მე ჩემი შეგროვილი დავჰკარგე, და მათი გამოცემა კი მსურს.

* * *

აბაშიდამ გვატყობინებენ. აქ არავის ახსოვს, რომ აბაშის საზოგადოებაში დანიშნული ყოფილიყოს ხევის თავები და ყარაულები ქურდებისაგან დაცვისათვისა. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანში ისე გახშირდა ქურდობა რომ გამოიწვია ეს ზომები. თითქმის არც-ერთი მოსაზღვრე საზოგადოება არ ყოფილა ამ ნაირად დაცული დღემდის ქურდობისაგან, როგორც აბაშის საზოგადოება. ბევრ აბაშის მცხოვრებთ არცკი გაუგონიათ ხევის თავების სახელები წარსრულს 1881 წლამდისო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ბათომი, 30 აგვისტოს. ამ დღეებში ჩამოვიდა აქ ბატ. მოსე ნათაძე, რომელიც დანიშნულია მასწავლებლად აქაურს ქართულს სკოლაში ბ. ნანეიშვილის ალაგას. ნათაძე რამდენიმე წელიწადი მსახურებდა ხონის ორ-კლასიან სასწავლებელში მასწავლებლად და კეთილ-სინიდისიანი აღსრულებით თვისის მოვალეობისა დაიმსახურა ყურადღება მთელის ხონის საზოგადოებისა. იმედია ეს პირი იმავე სიბეჯითით განაგრძობს თავის შრომას აქ ბათომშიაც. შაგირდებში ნაკლებობა არ იქნება. თავდაპირველად, როგორც გაგვეგონებათ, ხსენებულ სკოლაში სწავლობდა რამდენიმე ყმაწვილი მაჰმადიან ქართველებისა. მათთვის ხოჯაც იყო დაქირავებული. მაგრამ ერთი თვის შემდეგ ერთი ყმაწვილიც მაჰმადიანისა არ მოიპოვებოდა იქ. მიზეზს ამ გარემოებისას ყველა თავისებურად ხსნიდა; ნამდვილი მიზეზი კი, ჩემის აზრით, შემდეგში მდგომარეობდა.

---

— უკეთურო! მხთალო! მდაბალო! მშიშარავ!..

პირველად აღიტაცა მარკიზი მის სიცოცხლეში შიშის ზარმა.

მაგრამ სიკვდილის წინაშე კი არა, არა! მას ჰსურდა იმ გვარადვე მომკვდარიყო, როგორც უცხოვრია— ყოვლის სისუსტის შეუმჩნეველად, არ შერყეოდა თვისი რწმუნებანი. ძველი სამყარო ილუპებოდა, ირღვეოდა,— და მარკიზსაც ჰსურდა მას გაჰყოლოდა; და იმ დროს, როდესაც სალდათი, რომელსაც იგივე სიკვდილი მოელოდა, სიხარულით ეგებებოდა ერის თავზედ ამობრწყინებულს ცისკარს ახალის ცხოვრებისა, მარკიზი შეუძვრელად გაჰსცქეროდა უკანით სიბნელეს, მიმავალ ცხოვრებას და ეუბნებოდა: „მოვალ, შემოგიერთდებიო“.

სალრჩობელა არ აშინებდა მარკიზს: მას აძრწუნებდა, აშხთალებდა ის აზრი, რომ ხალხს ექნება უფლება სთქვასო: „მარკიზი მოკვდა, როგორც მხთალი“.

მწარის, გესლიანის სიტყვებით დასცინოდა მარკიზს მთელს გზაზედ ხალხი და ყოველი ეს დაცინვა შხამად ენერგებოდა მას გულში.

მაგრამ აი ესეც რევოლიუციის მოედანი.

სალრჩობელისა და ჯალათის დანახვამ ხალხი უმეტესად აალელვა. გაისმა საზარი ხმა, მსგავსი იმისა, ოდეს ზღვისა ტალღნი ეხეთქებიან სალ კლდესა.

მარკიზმა და ჯალათმა თვალი-თვალს გაუყარეს.

ჯალათი დასტერებთ ჩააცქერდა ბრალდებულსა.

ამბობენ, თვალებში იმ კაცისა, რომელიც მალე უნდა მიიცვალოს, რაღაც არა-ჩვეულებრივი რამ გამომეტყველებსო. მაგრამ რა გამომეტყველებს—ძნელია გასარკვევად. იქნება, ეს არის ცრემლი, იქნება, უნებლიე ვედრება პატიებაზედ, იქნება კიდე, შიში...

ამ მუნჯურ ლაპარაკის შემდეგ მარკიზთან, ჯალათმა სენსონმა მოიღო თვისი ნაცრისფერი პლაშჩი და მოასხა მარკიზს.

ჯალათის ტანისაგან გახურებულმა პლაშჩმა, თითქო სიამოვნებით, ალერსიანად დაჰფარა მარკიზის გაციებული სხეული, რომელმაც შესწყვიტა თრთოლვა და ძგერა; სისხლმა მძლავრად დაიწყო ძარღვებში მოძრაობა და საშინელი ციება, რომელიც ხალხს ეგონა სალრჩობელას მოგონებამ აუტეხა მარკიზსაო, გაჰქრა. სიცივემ დასტოვა სხეული—აღარ ჰქენჯნის არც სულსა.

ეხლა ამაყად მდგარი მარკიზი უჩვენებს ხალხს, თუ როგორ ჰკვდებიან უშიშრად.

მას შეხვდა დაცდა. იგი მოწამე იყო ბრალდებულთა სათითაოდ წამებისა; ყველას გამოეთხოვა სათითაოდ.

მაგარის, შეურყეველის ნაბიჯით ავიდა სალდათი სალრჩობელაზედ, ერთი გარდმოხედა მარკიზს, თითქო რაღაცაზედ იწვევსო.

— შვილებო!—დასძახა მან,—წინა! მამულისათვის!

უკანასკნელად დაინახა მარკიზმა სალდათი, მეტად ველარ გაიგონა ამისი მხიარული სიმღერა, რომლის დაბოლოებაც შემდეგ სიტყვებზედ გააწყვეტინა სალრჩობელამა: „რესპუბლიკას გაუ....!“ და საუკუნოდ დადუმდა...

— კაროლს გაუმარჯოს! — წარმოსთქვა მაღალის, დამშვიდებულის ხმით მარკიზმა და მიმოხედა ხალხს.

სანამ თანაშემწენი აკრავდნენ ბრალდებულს ფიცარზედ, სენსონმა იგრძნო, რომ მარკიზის ხელი ეძებს მისს ხელს და რა ნახა, მაგრად ჩამოართვა იგი.

ეს ხელის ჩამორთმევა ნიშნავდა მადლობას...

—

როდესაც ჯალათ სენსონსაც დაუკრა სიკვდილის ჟამმა იგი ევედრიდა უფალს ცოდვების მიტევებას. თვისის კეთილ ის საქმეების სა წორზე სდებდა მხოლოდ მადლობით ხელის ჩამორთმევას იმ კაცისას, რომელსაც მან დაეხმარა სახელით მომკვდარიყო. სენსონი დარწმუნებული იყო, რომ ეგ ერთად-ერთი წმიდა საქმე დასწონის ყველა მის ცოდვებს.

ყველამ იცის, რომ ბათომის და ყარსის ოლქების მცხოვრებლებს, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ჰქონდათ მინიჭებული გადასახლებისთვის 3 წლის ვადა, რომელიც ამ წლის თებერვალში უკვე შესრულდა. ამ ვადის გასვლამდისინ აქაური მაჰმადიან ქართველები რაღაც შეწუხებულ მდგომარეობაში იყვნენ; არც ერთს იმათგანს არც საქმით და არც სიტყვით არ ეტყობოდა მიდიოდა თუ რჩებოდა. მაშასადამე არსებითი კითხვა მათის ცხოვრებისა არ ჰქონდათ გადაწყვეტილი და შვილების აღზრდის დარდი ვილას ექნებოდა!

გადასახლების ვადა შესრულდა, ხალხი, ცოტა არ იყოს, დაწყნარდა და ამის გამო საეჭვო არ უნდა იყოს, რომ სხუმინდელზედ უფრო იზრუნებენ შვილების სწავლებისთვის და ხსენებულ სკოლას, რომელიც საკუთრად მათი შვილებისათვის არის გახსნილი „წერა-კითხვის საზოგადოებისგან“, თანაუგრძნობენ.

გუბერნატორის თანაშემწე თავად ნ. ერისთავს, როგორც გავიგეთ, აღუთქვამს ბ. ნათაძისათვის შემწეობა ამ მხრით.

დ. ჭ.

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲙᲠᲘᲞᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ
ტფილისის რუსული ოპერისა
ვ. ზ სალინი
აძლევს გაკვეთილებს სკრიპკაზე. მისი ნახვა შეიძლება 5 საათიდამ 7 საათამდე საღამოისა. გოლოვინის პროსპექტზე ტრეგულოვის სახლში № 1 ეზოში. იქვე ისყიდება სკრიპკა რუდჟერის ხელობისა 500 მანეთად. (3—1)

ᲥᲐᲚᲘ-ᲔᲥᲘᲛᲘ
ალექსანდრა ვასილის ასული
ᲡᲐᲛᲝᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘᲡᲐ
დაბრუნდა აბასთუმნიდამ, და ხელახლავ იღებს ავად-მყოფებს კერძო სამკურნალოში და თავის სახლში, პუკიაში ხიდის ქუჩაზედ (мостовая), ხველნიცხის სახლში, № 22.
(3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
ᲔᲠᲝᲑᲐ
თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

10 სეკტემბრიდამ ქ. ქუთაისში, იოსებ მურადოვის წიგნის მაღაზიაში გაიყიდება ქართული
ᲓᲔᲓᲐᲜᲘ (პროპისი)
შედგენილი და გამოცემული ვ. დ. ბაბიჩევაძისაგან. ფასი 12 კაპ.
(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ
და
ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲔᲥᲡᲘ
თ. ილია ჭავჭავაძისა.
ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული
ფასი 15 კაპ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ
ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ᲤᲐᲡᲘ ᲣᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲒᲝᲠᲨᲘ
ხიდის ახლო ისყიდება საუკეთესო სახლის ალაგი. ფასზე ეკითხოს ტფილისში ზაქარია იოსების-ძე მამაცოვს.
(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘ
ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲜᲘ
წიგნი მეორე.
ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲡᲢᲕᲘᲠᲘ
ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘ
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ადაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში
ᲘᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ
თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.
Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).
сост. Д. П. Пурцеладзе.
ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი


### ᲢᲐᲥᲡᲐ

საგზებაზ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სეკტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჭვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |


ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲘᲒᲜᲐᲓ
დრამა
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!
ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ.
ფასი 60 კაპ. (20—20)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.
ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, პუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.
ᲙᲐᲠᲢᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Сентября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი